შამა და შწეშთ-მთავარი ანტონი კათოლიკოზი და ზატონარნი სამცხე-საათაბაგოს და სრულად საქართველოს იყო დროს მეო-

რე შეფასების თეორიისა და მისი მისი ირავისა, დის წული შეფასება თეორიისა, კაცო დ'თის-შეტუქსლ-თელისთეთისა, სმ-დროთა წერილთა შინა გამტედილი და დიდი დიალიტოკოსი და დედმატიკოსი, რიტორი მშენიერი, ვითარ წერას შინა. ამან სთარ-გმან ბაუმესტერის თელისთეთა სრულიად; სუნჯის წიგნი კირილე ალექსანდრიელისგან ქმნილი, ეფესოს წიგნი; ხისტორისად ბასი და სხუნანი წერილნი. ამან თვისით შეთხზა სქართუელთ წმინდა მოწამეთა ცნობრება, მარტირიკად წოდებული; ქმნა კატეხისმი და მხისარტეშობა გააკეთა, და განაურცო დრამატიკა; და ქმნა კარგი რიტორება, და სხუნანი წერილნი ვიდრე ცნდა-სამი წიგნი, თვისგან ქმნილნი; შემოკლებით გააკეთა ქართლის ცნობრება; ამანუ თარგმნა კვირტოს კურტიანისგან ქმნილი ალექსანდრე მაკედონელის ცნობრება, ქართულს ენას მშენიერად გარდმიად; განმართან სამდროთა წერილნი ბერძელისა და რუსელისა ენისგან შემოწმებით; სრულ ეთ სყოველდღეო სადღესასწაულთ და შესრულა მარხუნანი და ბარაკლიტონი (ს.ი.) და ზადაკი და სხუნანი სამდროთა წერილნი; იყო უცხო მოქადაგე და მრავალნი ქადაგებანი აღწერა; ამან შეთხზა თხზი ტომი დვთის-შეტუქველებს და მალას ფრანს ზედა; კეთილად შეამკო კელესი თვისი და ცურემინათა განხათლან კელესიას წესნი და ესრეთ კეთილად დაშურა სიერმითგან ვიდრე სიბერემდე და შერე უთელისად დაიძინა; ამანუ ასწავლა მრავალთა მოწაფეთა, რომელთაცა მოვიხსენიებ ქვემოთ.

72.

### კათალიკოსისა ანტონი მეორისა, შეფას ირავის მასათვის.

შემდგომით ამის მიადო კათალიკოსობა ანტონი მეორემან, შეფას ირავის მეორის ძემან, რომელიც თვით ანტონიმ აღზარდა სწავლას შინა და მიადო ტეორეტიკის და პრაქტიკის ხელაგნება, და ისწავლა კეთილად თელისთეთა და დვთის-შეტუქველებს და ისტორია, ესე არს ფრად მანვილი, წრფელი და უმანკო, მხოლოდნებაში სრული, დრმა დვთის-შეტუქველი და მოქადაგე კარგი, რომელს ყოველ-



თვის ძალედვს მოუმზადებლად ქადაგების თქმა, ეყო ფრიად მშვენიერი მწერალი თხზავს შინს, ამან მრავალი იღვაწა სუქდარის თვისისათვის, უყიდა სიფლები, აღუშენს ხაზინანი ადგილნი, გაუკეთა ბაღები, საფუძველი დაზღო თბილისს შინს, უღათოს აღ-მამად-ხანის ხოჯასკან დაქვეყნის ეკლესიას, ალაკერდის წმინდის გიორგის ეკლესიას ჩინურითა დახურა სამხრობი და კეთილად იღვაწა. უკანასკნელ ჭილღათ ამის თქმს შიერ ექსტორია (sic) იქმნა და მოუყახებულ რასისად.

73.

### მამისა გაიოზ თავაშვილისათვის.

გაიოზ ეყო აღზრდილი კათალიკოს ანტონისკან სიფილისოფოსითა და სიფილის-მეტეველას შინს სწავლას, ზედ მიწვენილი რუსულის ენისა, იცოდა ლათინური და სომხური წერილი. ამან თარგმნა რუსთა ენისკან მრავალნი სხუა და სხუა წერილნი ქართულს ენას ზედა, რომელ იტყვიან ვადრე სამსამდანი წიგნის, გარდმოღებულს სამღთითა წერილთა და ისტორიითა და სხუათა შეცნიერთა წერილთა. ესე წარმოაგებინა რუსეთს შინს და მიადო მუნ არხიერობას ნებითა იმპერატრიცა კატარინასათა და დაიდგანს მწვემსთავრათ ზენზას შინს, რომელმან განახლა ეკლესია და აღუშენს კარგი სამრეკლო. ამან თვის უფოსს შინს ასწავს მეთვის ძეთა თილფოსოფია, განუმართა თელავის შინს შოლავა და განასწავს მუნც მრავალნი და სხუანიცა და ესრეთ აწცა შრამის შინს არს, ვითარცა ბქქსნტ უწეით სქქენი მისნი.

74

### ვარლამ ანტალის ეპისკოპოსისა დაგით ერასთვის მასათვის.

ვარლამ ანტალის ეპისკოპოსი ეყო აღზრდილი კათალიკოსის ანტონისკანვე, სიფილისოფოსოს და სწავლას და ღვთის-მეტეველას შინს შეცნიერი, უცხო რიტორი და მშვენიერი მქადაგე. ამან ასწავს სხუათა და სხუათა მოწათეთა სიფილისოფო სწავლანი და

უკანასკნელ წარვიდა როსისად და ზავლე იმპერატორმან განაწეს მწკერად სინადის. ამან ისწავა რუსული ენა კეთილად და ქმნა სუფელა და სხუათა დღესასწაულთა ქადატეობის წაგნი, საამო სისმენი და კარგათ დათხუელი, და აწ არს აქა თქუწნათას.

75.

### იოანე ოსეშვილისათვის.

იოანე ოსეშვილი, სიონის ეკლესიის დეკანოზი, ესეცა აღზრდა კათალიკოსამ ანტონიმ, ისწავა თეოლოგიისა და ღვთის-მეტყველებას. ამანც ჰქმნა რადიენიმე წერილი სასწავლებლად ურმათს, ესე აყო უმეტეს მშენიერი მწერალი თხუხუისა შინა, ვიდრე უბნობას შინა.

76.

### დავით ალექსიშვილისათვის

დავით ალექსის ძე, ანისისტი დეკანოზის შვილი, ესეცა აღზრდა ანტონი კათალიკოსმან, და მიიღო სწავლა თეოლოგიისა და ღვთის-მეტყველებისა, ესე არს გონება მკვეთრა და კარგი მეხსიერა, მწერალი მშენიერი ვითარ ხელ-ნაწერობით, აგრეთვე დათხუითაცა. ამან ჰქმნა წაგნი, თვისან ქმნილი, და უწოდა „ხემ მიერ ნაღვაწი“. და აგრეთვე შემატა დექსავონს. ამან ასწავა სკოლასა შინა თელავს მრავალ მოწაფეთს სთეოლოგიისთა სწავლანი, რომელიცა დადგინებულ აყო მეფის არაგლის, თეიმურაზის ძისგან, რეკტორად და მეცა ვაჟე მასთან, რიცხვთა შორის მოწაფეთასა. ესე არს უცხო ანტორიკოსი ძველთა და ახლთა მოთხრობათა, რომელიცა ქებულ არს ერთა ხეუთაგან, და აწ სცხორებეს მიზეზითა თქუწნითა მენდრავანებსა შინა. ამს ზემოხსენებულთა მოწაფეთა ანტონი კათალიკოსი, მოძღვარი მათი, მაჩუქებდა თუათოულთა ნიჭთა მათ: ვაიოზ უწოდდა კარგსა მასწავლებელსა და მოძღვარსა და ადვილად ძხელთა განმარტებელსა მოწაფეთადმი თუისთა; ვარლამს უწოდდა მშენიერს რიტორსა და მოქადატეთა შორის ზირველსა; იოანე ოსეს ძეს უწოდდა მშენიერს მთხუველსა წერილთა შორის; ხოლო დავით ალექსის ძეს უწოდდა ქართველთა შორის ზირველს ანტორიკოსად.

77.

**ძიხაილ თბილისკლისათვის.**

ძიხაილ თბილისი, ენიკობისი, ესეცა იყო თანაშეზრდილი ანტონის კათალიკოსისა, იყო ფილესოფოსი და სმღრთთა წერილთა შინა გამოცდილი, დიდი ცერემონიასი ეკლესიისა და შემაძებელი, ესე უფრო დაშურა სმღრთთა წერილთა და ისტორიებთა გარდასაწერად, რომელმანც თვისთა ხელთა გარდაწერა წიგნნი დიდნი და მცირენი ვიდრე რვასამდისინ და უკანასკნელ მცხვრების ჟამსა გარდაიცვალა.

78.

**ტრიფალე არხიმანდრიტისათვის.**

ტრიფალე მღვდელ-მონაზონი, ესეცა იყო აღზრდილი ანტონისავე კათალიკოსისა. ესე იყო სწავლული ფილესოფოსის ხელფიციბას შინა და კარგი დრამატოსი, სმღრთთა წერილთა შინა ფრად მიწეწილი, მოჟამნეთა და ეკლესიათა წიგნთა წამითხველთა შორის უზარველესი, ვითარცა სიმარჯვითა ენისთა, ეგრეთვე გამოდებთა ლექსთა და განრკვევითა სიტყუათათა სრული, კანახობას შინა უზარველესი, მწერალი უცხო და ჩქარი, რომელ ოდეს მოცადის ეკლესიის მსახურებისგან, არა დაუტკეპბდის სმღრთთა წერილთა და ისტორიათა წერასა, რომელმანც გარდაწერა წიგნნი ვიდრე ხუთასსა ზედა უმეტესნი; და უკანასკნელ მიდრო არხიმანდრიტობა, მეთრის კათალიკოსისა ანტონისგან და მოხუცებულობითა იქმნა ბრმა, კარნა ყოველთა დღესასწაულებთა შორის თუთ ზეწარ უკანასკნელის დაზღებულთა მის დღისთა, ვინაჲდგან აქუნდა ხვეულება ეს გვარ მსახურებისა ეკლესიებთა.

79.

**გამალიელი ოს ყოფილისათვის მღვდელ-მონაზონისა და მერე არხიმანდრიტად დარდგინებულისათვის.**

გამალიელ ოს ყოფილი არხიმანდრიტი. ესეცა იყო კათალიკოსისა ანტონისგანვე აღზრდილი, წერილთა და კალობათა შინა გამო-

ცდილი და არხმატიკოსი და მონოზონებიტა კარგი, მწერალი უცხო, რომელმანც მრავალნი სამღვთონი და სურონი კარდასწერნა ვადრე სამასამდისინ. ამან კეთილათ იღვაწა იკორთის მონასტრის მთავარ ანგელონს ეკლესიისათვის და ესრე შრომათა ატარებს დროსა თჳსსა.

80.

### არხიმანდრიტის ნეოფიტე ეს ელფისათვის.

ესე ნეოფიტე ოს-ყოფილი აღზარდა ერმა მთავარ-ეპისკოპოს-მან წერილთა შინა და მერე მიიღო რიცხვთა შინა ბერებთასა ანტონი კათალიკოსმან. ესე არს შესადარი ზემოხსენებულის ტრიფილესი, ვითარცა მოჟამნობათა, ეგრეთჳს ეკლესიის წერილთა წარკითხვითა, მწერლობითაცა ქებული და მონოზონებითაცა სრული. ამან მიიღო მერე ანტონი კათალიკოსისაგან არქიმანდრიტობა, და აწ მსახურებს მას, და ცხოვრებს მისთანა განუშორებულად.

81.

### გერასიმე მღვდელ-მონაზონისა ტკბილ-მგალაბუ-ლისათვის.

გერასიმე იმერეთისა ქჳსენიდამ მონრული ძმითურთ თვისით ოთარათა, ესე სცხავრებდა ზირველ რაჭის ერისთვეებთან და მერე დაშთა ანტონი კათალიკოსთან, რომელმანც მიიღო რიცხვთა შინა ბერებთა თვისათა. ესე იყო ღრად სწავლული გალობას შინა, რომელმან უწედა ვადრე ხუთასი უკჳს ჭრელი, რომელსა თქჳსნ უწოდთ კანცერტსა. იყო უცხო მთქმელი და მსმენელთა ურისა მშოველი. ამან აღზარდნა მრავალნი შვიარდნი გალობას შინა, და გამრავლა ქართჳსლთა შორის გალობა, რომელნიცა იუენხ უფრორე ჩინებულნი მოწაფენი მისნი მგალაბლობითა სხეულდობი: კვალაშვილი სოლომონ, დირაბული გიორგი, დეონტი (sic) სოლავაშვილი, ქარკშიძე (sic) იოანე, და ძმისწული მისი და სხუანიცა მრავალნიცა მოწაფენი მისნი, და ამა მასწავლებლობას შინა დაშურა ესე და მის მისი ოთარა, ვადრე

ორმოცი წელი და უკანასკნელ დაიდგინა არქიმანდრიტად მეორე კათალიკოსის ანტონისაგან.

82.

### ღერვასი სამთავნელისათვის.

ღერვასი მაჭავარიანი სამთავნელი, ესეცა იყო აღზრდილი კათალიკოსი ანტონისაგან, მთავარ დაკუნობასა შინა ზირველ ქებულ, და უკანასკნელ მიიღო არხიერობაჲ, ესე არს ტიბოკნთა შინა გამოცდილი და მშვენური ცერემონისი, უცხოდ რიგზედ შექმნიველი, სტუმართ მოეგარე, და კაპლესიათა თვისთა მოღვაწე, და თქუენ შიგრცა ზატოვენიშული.

83.

### გაბრიელ ჯვარის დეკანოზის მამისათვის.

ესე გაბრიელცა იყო კათალიკოზის ანტონის მოწაფეთა რიგხუთაგანი, რომელმანც ზედ მიწეებით ისწავლა ფილოსოფოს-ღთისმეტყველებსა. არს კარგი მწერალი და მოქადაგე კეთილი, ზნეთ-სწავლულებსა შინაცა გამოცდილი და კეთილი მოღვაწე კაპლესიის თვისისა.

84.

### ზაქარია მოძღვარყოფილისა გაბაშვილისათვის.

ზაქარია გაბაშვილი მღვდელი. ესე იყო ძველთა ფილოსოფიის სწავლათა შინა გამოცდილი და ღთის-მეტყველებისაგან მიწეწილი, მშვენური რიტორი და უცხო მოქადაგე. ამან იღვას ქიზიუს შინა ქადაგებითა, რომელთა შორის შვიდა მცირედ ლეკიანობა, და მალე მოაქცივნა იგინი. ესე იყო მშვენური მწერალი და მთხუზველი მადლსა ფრასსა ზედა, უცხო ზაიტოკოსი და მღვდელობითა სრული, რომელიცა იქმნა მეფეთა მოძღვარიცა. ხოლო უკანასკნელ მცირე რამ სანდურავისათვის ანტონის კათალიკოზისა და თვისგან წარმოვიდა როსიად და შერე მოვიდა იმერეთს, და მუნ განისვენა.

**გლახა ნათისშვილისათვის.**

გლახა ნათისშვილი იყო დიაკვანი მეფის კარის საუდრისა, ფი-  
ლოსოფიის და ღთის-მეტეფტქელეისა შინა სრული და უცნო მოქა-  
დაბე, დიდი რიტორი, სამხურსა ენაზედ მიწეუბნაღი, რომელმანც  
გარდმოადო სამხურისა ენისგან სვიმეონ ჳუღელ ფილოსოფოსისგან  
შემოკლებული კავშირი, ზროკელს მიერ ქმნილი ღთის-მეტეფტქელეა  
და შეთხზა ამა ნათისშვილმან მადღესა ქართულსა ენასა ზედა ს-  
სკოდო სსწავლეობად, და სხვანიცა წერილნი გადმოსთარგმნა და ეს-  
რეთ აღასრულა წელნი თვისნი.

**მამასა ტიმოთე ეპისკოპოზისა ერისთავთ გუჳარისათვის.**

ტიმოთე ეპისკოპოზი ერისთავთ გუჳარისა თავადი, კაცი მე-  
ტნიერი, წარვიდა ტფილისიდაჲ და მივიდა სტამბოლს. სულთანმან კარ-  
გა მიიღო და უბოძა თხზუნისებრ მისისა ფარმანი მოსაღოცველად  
წმინდათა ადგილთა და ესე წარვიდა მუნით, და მოიღოცნა წმინდანი  
მონასტერნი და სადაცა რაჲ იხილა ეფუელივე აღსწერა კეთილად და  
მშეენიერად, რომელსა უწოდა წიგნსა ტიმოთიანი, და სხვანიცა სწავ-  
ლანი შესძინა წიგნსა მას შინა, და კვლად მოვიდავე ქართლსა შინა  
და კეთილისა სტხზურებითა განუღნო წელნი თვისნი.

**გერმანე ტფილელისათვის, რომელ იყო ზირველ და-  
ვათ გარეჳას წინამძღუჳარი.**

გერმანე ტფილელი, რომელიცა სიურშითგან თვისით აღიზარდა  
მონასტერსა შინა ესრეთ მტირე ემა, რომელ ოდეს წარმოცხადეს  
მონასტრის მამათა სოფელსა შინა მოსარეწველად მოწველები-  
სათვის ერთაგან, მხილველმან დედაგაცუბთაგან იკითხა, თუ ვინ არიან  
ესენი, რომელ ზირველ ხაღვასვე განვეარეუბულ იყო, ვინათგან არა

უწყოდა სახე დადათა. ამან კეთილად იღვაწა მონასტრისათვის, იყო ფრიად სიწმინდის მოყვარე და მეტნიერი უცხო, დიალექტიკოსი, მამათ ცხოვრებით წერილთა ზედა მაწეხილი, უკანასკნელ შეუქმან ირაკლი იძულებით დადგინებულ ჰყო ტფილელად ტფილისის შინა, და კეთილად იღვაწა კველქისათვის, და მრავალნიცა განსწავლნა სმდეველად და ესრეთ სიწმინდით კარდაუღნო წელნი თვისნი.

88.

### ეფთვიამა წინამძღვრისათვის.

ეფთვიამე წინამძღვარი წმინდის ხათლას მცემლის მონასტრისა, კაცი თელისთოსი და ღთის-მეტყუელი, სათნოებათა ზედა უცხო მოქადაგე. ამან ფრიად იღვაწა მონასტრისათვის, და აღაშენა სოფელი ხაშბი, რომელიც იყო ქინის ერისთავთა ღვეთა მოყვანის მიზნით დამწვარი, აღუშენა უცხო ვენახი და წასქვილნი, რომელიც აწ განუედა თეოფილასკეთე, თქვენმან დადგინებულმან; ამან მრავალი შემატა მონასტრისა, ვითარცა ნავთნი, ეგრეთვე მამულებიცა, და ესე იყო ფრიად შემარხული და მღვდელი და თათქმის სასწავლის მოქმედებისა შინაცა მაწეხილი და სხეებრ სტუმართ მოყვარე, და ესრეთ დასწრულა ცხოვრება თვისი, და ამანც ასწავა რათდენთამე მოწაფეთა თელისთოთა და ღთის-მეტყუელთა.

89.

### თამა წინამძღვრისათვის.

თამა დავით გარეჯის წინამძღვარი და გვართი გარსევანაშვილი, ესე იყო სამღვთოთა წერილთა შინა გამოცდმელი და მკვლარული სრული, ამან აღზარდა სამღვდლოდ სწავლას შინა ვიდრე ას რომელიცა-ათამდის სულნი, რომელნიცა მისსვე დროს შინა დაიდგინენ დაიკვნად და მღვდელუბად, ხალხი ერის კაცნიცა მრავალნი იქმნენ მის მიერ განსწავლულ, ვითარცა წერილთა შინა, ეგრეთვე გალობათა, და უკანასკნელ დაიდგინა შეუეთაგან წინამძღვრად დავით გარეჯის მონასტრისა და მუნცა იღვაწა მხტოვანებისა შინა თვისისა



და მწესიდა კეთილად, და ესრეთ გარდაუღნო დღენი ცხოვრების თვისისანი.

90.

### იოანე წილგნელ ეპისკოპოსისათვის.

იოანე წილგნელ ეპისკოპოსისა ქარუმიძისა, ესე აღიზარდა გარესჯის მონასტერისა შინა სიურმითგან და ისწავა მუნ ფილოსოფიას და სხვანი სწავლანი, იყო მშვენიერი მოუბარი და მამათ ცხოვრების მცოდნე; ამან აღზარდა როდენიმე მოწაფენი და მათ შორის იოანე ოს-უოფილი, რომელმანც შიიღო ფილოსოფიას და სთარგმნა ოსთა ენათა ზუდა კონდაკი და ლოცვანი და მრავალნიცა დაიმოწაფნა, და ზატოვიცა შიიღო თქუწნვან.

91.

### მცირე ისაკისათვის.

მცირე ისაკ, რომელსა ქართველნი ზატარა ისაკად სსხელს დუბდენ ესე იყო მუცნიერი კაცი და მშვენიერი მესტიხე, და კარგი მწერალი, რომელმანც კეთილად განატარა ცხოვრება თვისი.

92.

### ღეონტი სოღაქაშვილისათვის.

მღვდელ-მონაზონი ღეონტი სოღაქაშვილი, ესე იყო საფილოსოფოსოსა სწავლასა შინა გამოცდილი და მკალაბლობასა შინა ზირველი მკალაბელი. რომელმან უწყოდა ვიდრე ხუთასამდისინ ჭრელი და სხვანი კალაბანი, ამან განსწავლნა მრავალნი მკალაბელნი და კეთილად განვლო წელნი თვისნი.

93.

### სიონის დეკანოზისა ეონისძისათვის.

სიონის დეკანოზი ეონისძი იყო სამღროთ წერილში გამოცდილი, ხუცურის ხელის მწერლობაში ზირველი, რომელ ჯერეთ არ-

ინ უთვლიდა ამისთანა მშვენიერის ხელის მწერალი, ვითარცა ესე და აგრეთვე სელ-ხართული მშვენიერად, ამან გარდასწერნა მრავალნი სამღრთო წერილნი და ამან აღწერა ერთისა კალმითა მთელი კონდაკი, სამღვდელთა მსახურებაში სხსმარი, რომელსა მეორე კალმა ხელ-მეორედ გამოუჭრია. ამან დია ჰატიონსებით იცხადურა, და უკვარდათ შეუთატა, და ესრეთ დაასრულნა წელნი თვისნი.

94.

**ზაქარია წირვნიელ ეპისკოპოსისათვის და შერე  
ამბროსად წოდებულისა.**

ესე ზაქარია, ზედ წოდებით ამბროსი, ძმა იყო ამა ზემოხსუ-  
ნებულისა ნიკოლაოზ დეკანოზისა, იყო მეცნიერი, სამღრთო წე-  
რალს შინა გამოცდილი და უცხო მწერალი, ვითარცა ხუცურისა გე-  
რეთელ მხედრულის ხელისა. ამანც მრავალნი სამღრთო წერილნი და  
ისტორიები გარდასწერნა. ესე იყო კარგი ზიტიკოსი, მუსიკოსი და  
სრული მკალობელი. ამან აღზარდნა რადენნიმე მოწაფენი და უპა-  
ნასკნელ შეუემან ირავლი, დაადგინა მწეკმს მთავრად ნეკრესის ეპ-  
კლესიისა, ნეკრესელად, და მუნცა იღვასა კეთილად.

95.

**დონათოუს ნეკრესელი ეპისკოპოსისათვის.**

ნეკრესელი დონათოუს ჩერქეზისძეილი, კაცი მეცნიერი და  
ღთის-მეტყუელუბისადა მტოდნე, ამან უწეოდა სომეხთა ენა კეთილად,  
რომელმანც გარდმოიღო სომეხთა ენისაგან მიხითარ ბრძნისა რიტო-  
რება მშვენიერ ენაზედ, ესე ვითარცა მონოზონებუსა შინა ეგრეთვე  
ურის კაცურთა საქმეთადა შინა გამოცდილი იყო, რომელსა ჟამსა  
მტრანობისა და ომობისასა უოკულთვის ამხნობდის ერთა და კეთი-  
ლისა რჩევითა თვისითა კარგათ წარუმართუელის საქმეთა და ესრეთ  
მთხუცებულებისა ჟამსა დაასრულა ცხოვრება თვისა.

96.

**იოანე ნინო წმინდელისა ჳანდუერისშვილისათვის.**

იოანე ნინო წმინდელი ჳანდუერისშვილი, ესე იყო ჳწაფლე-  
ლი კაცი მეცნიერი, და სრული მკვლამბელი. ამან სწავლასა და მკ-  
ვლამბობასა შინა აღზარდა მეფეჲ ირაკლი და სხვანცა თჳსადნი და  
კეთილადცა იღვწა კეკელისიანისთვის თვისისა, და ესრეთ გარდავლნო  
წელნი თვისნი.

97.

**ისაკ ხუცესი კანდელაკისათვის.**

ისაკ ხუცეს-კანდელაკი, ესე იყო სმდრთო წერილთა შინა გა-  
მოცდილი, მოჳაშენთა შორის ჩინებული, და ხუცურის წერისა შინა-  
ცა ქებული, მკვლამბობითა სრული, რომელმანცა იცოდა ჳრელი ვიდ-  
რე ათასმდისინ; ამან მრავალთა სწავლასა ცალმბა, აქუნდა ჳტივი  
მეფეთაგანცა და კეთილად განატარნა დღენი თვისნი.

ს. 98.

**ნიკოლაოზ ნიკოლაოზ განაშვილისათვის.**

ნიკოლაოზ ხუცესი განაშვილი იყო სამეცნიეროს სწავლასა  
შინა გამოცდილი, კარგი მოქადაგე და შესხმთა შემთხზველი. ესრე  
უფრორე სცნაურებდა იმერეთს შინა და აქუნდა ჳტივი მეფისაგან,  
ამანცა აღზარდა რაოდენიმე მოწაფენი და კეთილად განატარა ცხო-  
ვრება თვისი.

99.

**ნიკოლაოზ ბიჭიანშვილისათვის.**

ნიკოლაოზ კახი ბიჭიანშვილი, ესე იყო მეცნიერი დაკარგი  
რიტორი. ესე იყო თანა შეზრდილი მეფისა ირაკლისა, უცნო მოქა-  
დაგე, რომელმანც მრავალი ქადაგება გამოთქვა. ესე იყო მცხეთის  
დეკანოზობის ხარისხით, გარნა მარადის მსახურებდა მეფეთა გარის

ეკლესიას შინა; აგრეთვე საქვეურო სარკებელთა რჩევათა შინა მრავალ გზის დაესწრობდის შეუესთან, რომელსაცა აქუნდა მადლი კარგ უნებობითა თნებად მსმნელთადმი, და კარგათაგა აჭზრებთა იყო მომზობელი.

100.

**აღუქსის შვილი მწერალ-მკვლავებელნი სახელდობ:**

აღუქსა დეკანოზი ანხინატი, ესე იყო მეცნიერი ვატი, მოძღვარი სულიერი, ანტონი კათალიკოზის მწერალი ხუცურის და ხედრულის (sic); რომელიც ღირს ქების არს ნაწერნი ამისგან. ამის მრავალნი სამღრთონი წერილნი და ისტორიანი გარდასწერს, და ამან კეთილად აღზარდა შვილი თვისნი: გიორგი, სოლომონ და დავით, რომელთაცა ასწავლნა სამეცნიერო წერილნი სამღრთონი და მკვლავობაცა. ამათც ისწავეს ხუცურის და ხედრულის წერა, გარნა მხედრულს წერას შინა ჭერეთაც არც ძველად და არც ახლად არეინ თქმულან უკეთეს ამას; და შეტადრე სოლომონ დეკანოზის; ეგრეთაჲს ძენი ამათნი მიქელ გიორგისშვილი, დიმიტრი, იოელ და ტარასი სოლომონისშვილნი, ზირველნი მწერალნი მხედრულის ხელისა, ხოლო მკვლავობასა შინა სრული იოელ, და კეთილადცა სწავლულნი სცხოვრებენ ჭერეთაც.

101.

**იასტოს ერასტისშვილი ანდრონიკეს გვარისათვის.**

ესე იასტოს ანდრონიკესშვილი აღიზარდა კათალიკოსის ანტონის კრებულთა შორის; ამას ასწავლნა ფილოსოფია და ღმრთისმეტყველება ვარლამ ეპისკოპოსისმან ერისთვის შვილმან. ესე არს მონაზონობაში კარგი, და განმარტებული სამღრთოთა და საფილოსოფოსოთა წერილთა კეთილად. ამანვე აღზარდა სხვანიცა მოწაფენი, ხოლო მოწაფეთა მათ შორის იოანე მღვდელი კოლომბინის უწარჩინებულეს იქმნა სხვათა ზედა, რომელიცა აწ თქვენგან დადგინებულ არს მოძღვრად შკოლასა შინა ქართველთასა და აგრეთჲს ასწავა ფილოსოფია გიორგი ალაბასშვილს და იოანე ყულარადარისშვილს.

**ნიკოლაოზ ხელაშვილი კახისათვის.**

ნიკოლაოზ ხელაშვილი კახი აღზარდა დაჟით ალექსისშვილმან; ჰსწავლას შინა გამოცდილი და სადღღმარტიკისისცა, მკალობლობას შინაცა კარგი, რომელ მამა მისი გიორგი კახურსა გალობას შინა იყო ზირველი, რომელმან ასწავა შვილსა ამას თვისსა, და აწ ეს არს მოძღურად საქართველოს სკოლასა შინა ნაცვლად ზემოხსენებულისა იოანე მღვდლისა.

**ეგნატი ონისიმეს მის მარტყოფელისათვის.**

ეგნატი მღვდელი, კარის ეკლესიის წმინდის გიორგისა, ონისიმეს ძე მარტყოფელისა, აწ იოსელიანად გვარ მიღებულისა, ესე მტორე შეფემან მეთაფმეტემან გიორგიმ თვისსა ბატონისშვილობასა შინა აღზარდევინა სწავლასა შინა სიგილოსიოფოსისა და სიმღრთის-მეტეველთსა, ასწავებინა ესა სომხურა ტერ დაჟითს, კაცსა მუცნიურსა, რომელმანცა უცხოდ მიიღო ჰსწავლა, და ენა სომეხთა ზედმიწევნით, ვითარცა არს ესე თელსიოფისისა და სიმღრთოსა წერილსა შინა გამოცდილი, ეგრეთვე უცხო რიტორა, მშეგნიურ მოუბარი, და კარგი წარმოთხველი წერილთა. ამას ასწავა ახსნით მზე ჭაბუკ ორბელიანმან დამსკელის წიგნი და ზრთველ კონსტანტინეზელის მთავარეპისკოპოსისაგან ქმნილი დოის-მეტეველეთა, კავშირად წოდებულთა, და სხვანიცა დრმხნი წერილნი და აწ ჰსცხოვრებს ესეცა, დროსა ამას შინა უქმნად.

**იოანე ღარამის დეკანოზისათვის**

იოანე მღვდელი ღარამე. ესე აღზარდა სიგილოსიოფოსისა ჰსწავლასა შინა მზეჭაბუკ ორბელიანმან. ესე იოანე იყო მშეგნიური მწერალი და კარგი დიალოკტიკოსი. ამან შემდგომად მამის თვისისა,

გიორგი ხარების ეპიკოსიის დეკანოზისა, მიიღო ადგილი მისი და კეთილად იღვასა საუდრის მისთვის და ესრეთ განვლნო წელნი თვისნი.

105.

### ზაქარია ლალახანაშვილისათვის ხუცესისა.

ზაქარია ხუცესი ლალახანაშვილი, ესე არს არაგვის ერისთავ-თავანი მხეველისგან, ესე აღზრდევინა შეუქმან ირაკლი ჭისწავლასა შინა, მიიღო ჭისწავლა კეთილად და ენაცა სომხური, მოქადაგობასს შინაცა აქჳს ნაწილი, და აწ თქუწნგან გაწესებულთა კახეთს სკოლასა შინა მოძღვრად.

106.

### სსუანი მოწაფენა დავით აღექსისშვილისანი.

აღექსისშვილმან დავით თელავის ქალაქის სკოლასა შინა აღ-ზარდნა ვიდრე სული ოცდა-ათამდის, ხოლო მათ შორის ბერი ნი-კიფორე მიქელისშვილი ხარსელაშვილი, ალავერდის დეკანოზის შვი-ლი ქობულთის შვილები, სოლომონ, გობგენა და ოთარ; მუხრან ბა-ტონისშვილი, სვიამონის ძე; ლალიხანისშვილი ვასილი, და სხვანი რომელთა მიიღეს სწავლა აზნაურებითი კეთილად, და ისტორია და ხელწერილთა წერა მხედრულ-ხუცურისა, დია მშუენიურ, და სხვებრ სიბრძნითაცა ქუბულნი გამოვიდნენ.

### ერის კაცთა ჩვენის დროსათა შეყენერთა.

107.

### იოანე ორბელიანისათვის.

იოანე შიღვანბეგი ორბელიანი, კაცი სიბრძნისა შინა აღზრდილი, რომელმან უწყოდა ზედ მიწევნით ივილოსოფია და ღთის-მეტყვე-ლებას, იყო ვარსკვლავთ მრაცხველი, ფიზიკოსი და არიფმეტყვისი.

უწყოდა ბუნების ისტორია, და იყო უცხო რიტორი, კარნა უქმ-  
ქმნეს ჰსწავლანი ესე, ვინათგან შიიღო ლათინთ სარწმუნოება. ესე  
იყო იფრიად გონება მახვილი, ესრეთ რომელ მსცხორებებისა გამო  
თვალთაგან მოკლებულ აქმნა და ვერა რაჲს ხედვიდა, მაშინც უო-  
კელთა წერილთა ძალედეა განმარტებად.

108.

### მზე-ჭაბუკ ორბელანისათვის მსაჯულისა.

მზე-ჭაბუკ ორბელანი, კაცი შესხედავი, მზგავსი ეზოზესი და  
ძველთა იფილოსოფიათა ზედმიწევნილი, დთის-მეტეველებსა შინა  
გამოცდილი, და ზაქრობასა შინა მარჯვე, აგრეთვე ხუმარ-სიტყვაო-  
ბასა შინადა მარჯვე და ზასუხისა უცხოთ მიმკები, მესტიხეობასა ში-  
ნაცა ქებული და მსაჯულისა საქმეთაცა შინა გამოცდილი, ამან აღ-  
ზარდა რათდენიმე მოწაფენი, ამანვე სთარგმნა ძველი სოფილოფოსო  
წიგნი, ზერაარმენიად წოდებული, სომხურისა ენისაგან. ესე იყო მუ-  
ფეთაგან მინეულ, რომელიცა შექცევდის ხუმარ-სიტყვაობითა, რა-  
მლისა ანკვლოტნი, მისგან მრავალნი ნათქვამნი, უწევან ქართველთა.

109.

### იასე ძდიგან-მსაჯულისათვის.

ესე იასე თსეს ძე იყო ჰსწავლული კაცი და ქართულსა შინა  
ისტორიასა გამოცდილი და ზედმიწევნით მცოდნე, ამან უცხო მა-  
დლი აქუნდა მწერლობისა, და ჰქმნა ქართველთ ზნეთა ჰსწავლულე-  
ობისა წიგნი, იყო კარგი ზიტიკოსი და ზრდილობასა შინა მოსწონი.

110.

### სოლომონ ლავანის ძე ძდიგნისათვის.

სოლომონ იყო გვართ ლეკთაგანი და ამან შიიღო ჭილდოდ  
თავადობა და გჳარი მეორისა მეფისა ირაკლისაგან, ვინაჲთგან ესე



სოლომონ დაიჭრა ბრძოლას შინა ერეულებისა მეფისა წინაშე. ესე იყო გონება მხვილი, წყრილთა შინა გამოცდილი, სიტუტა მარჯვე და საქმის წყრათა შინაცა კარგი, უკანასკნელ, ოდეს ადღა (?) საქართველოს შინა მეფობა, წარვიდა იმერეთს მეფისა სოლომონისთანა და მსახურა მას ძალისამებრ თვისისა და კარდაჟუა ოსმალის ქქწყანასა შინა და მუნ სნუულებითა კარდაცვადა.

111.

### ბესარიონ გაბაშვილისათვის.

ბესარიონ გაბაშვილი იყო მეცნიერებისა შინა გამოცდილი და უცხო ზიატიკოსი, მოშიარე, მწსგავსი რუსთველისა, რომელმანც მრავალნი სამო შაირნი დასწერა სმარსთა ხმათა ზედა სამღერელი ქართულისა ენითა და აგრეთჲს სხვანიცა ლექსნი. მოუთხრობენ ამისთვის, რომელ ჰსცოდნოდეს ზეზირად მთლად ლექსიკონი ქართულია. აგრეთჲს ამის შემდეგნი მესტიეხენი არიან: დავით ჭიმშერის ძე ხოლაყაშვილი, ზეტრე ლარაძე, რომელმან აღსწერა ხელახლად დილარიანი და შეაწყო თვისით, ხორგუაშვილი თეოდორე, იოსებ, ზნა მუსრიძის შვილი, ბარამ ბართაშვილი, და სხუანი ახალნი ემაწვილნი კარნი ქართველნი და სომეხნიცა.

### ფთილისსა შინა სომეხნი მეცნიერნი.

112.

### ზაქარია ვართაშვილისა მადინაშვილისათვის.

ესე ზაქარია მადინაშვილი ვართაშვიტი იყო ზედმიწევნილი თელისოფოს-ღთის-მეტეველი და მეურნალობისა კელთაგებისცა მეცნაუი. ამან ასწავა მრავალთა ქართველთა და სომეხთა სათელისოფოსო წყრილნი და ამან განუმარტნა კავშირი ღთის-მეტეველებითი, ზორფერის თელისოფოსისა ხუთი ხმა, და საზღვრისა წიგნი, დავით უძლეველისა თელისოფოსისა მიერ ქმნილი, სხვათა და სხუათა მოწაფეთა, და ამით განახალდა მრავალნი.

113.

**ტერ-ფალიპესოფის.**

ესე იყო ზედმიწევნილი იფილოსოფოსი მჭკვავსი ზემოხსენებულის ვართაპეტისა, ამხანაც მრავალნი მოწაიუენი კანსწავლნა, და შეეწია რადენთაჲსე წიგნთა თარგმანებათა შინა კათოლიკოს ანტონი პირველსა.

114.

**ტერ-პეტროზასოფის.**

ტერ-პეტროზაც იყო მჭკვავსი ამა ზემოხსენებულთა და მთარგმნელობასა შინაცა კარგი, რომელ შეეწია ამხანაც კათალიკოსს ანტონის თარგმანებასა შინა წიგნთასა; აგრეთვე არიან კარგნი მთარგმნელი სომხურისა ენისაგან ქართულად და კარგნი დრამატიკოს-დიადკატეხოსნი ტერ-დავითა და ტერ-სამოელ.

როძელთაჲსე თაკადთა დროსა მეფისა თეიმურაზ და ირაკლისასა.

115.

**იესე ქსნის ერისთავი ბიშაღურისათვის.**

ესე იესე იყო კარგი შაირთა შემთხუზველი, ამან ქმნა აგლლათია წმინდათა მოწამეთა შაღვა და ელიზბარისა, ესე იყო ჰსწავლის მოეგარე, გარნა ამასთანაც აქუნდა დიდების მოეგარება.

116.

**დიმიტრი ორბელიანისათვის.**

დიმიტრი ორბელიანი იყო დროსა ვახთანგ (sic) მეფისასა წინათ, მუცნიური კაცი და შაირთა კარგათ შემთხუზველი, გარნა უფრორე მრავალნი ამაო შაირნი გამოსოქუნა; ვიდრე სსარგებლობი.

**ვახთანგ ორბელიანისათვის.**

ვახთანგ ორბელიანი, ესე იყო სოფელისოფლისათა სამღრთითა წერილთა შინა ზედმოწეწნილი, უცხო მესტეხე და მშეწიერი, მზგავსად ძველთა, და კარგი ანბანთ ქებისა შემაწეობელი, ამან ასწავა რადღენიმე სწავლას წერილნი ანტონი კათალიკოსსა სიერმესა შინა მისის.

**ვახუშთი ბუშისათვის ბაგრატიონისა.**

ვახუშთი ბუში ბაგრატიონთა აღზარდა ვახთანგ მეფემან მოსკოვსა შინა, და იყო კარგი მეცნიერ. ამან განაგრცელა ქართლის ისტორია და აღწერა კარგათ; აგრეთუწ შეფეთა შთამამაფლობანიცა, კარნა ვინაიტან გამოძებულ იქმნა განთა მეფეთაგან, ამისთვის ისტორიასა შინა, თვისისა მიერ ქმნილსა, შურითა მოუთხრობის სჯემეთა მათთა შეწეწნითა ცხვირმოჭრილის ორგულბობსა ზედ მეფისისა ამიღობორის შვილისა, და ამისთვის ზრახვეწ ქართველნი და არა ჭეშმარიტს ისტორიად რაცხვენ, ვინამთგან შურითა მეფეთა და მრავალთა თავადთა აუგნი დაწერა.

**დიმიტრი ციციშვილისათვის.**

დიმიტრი ციციშვილი აღზარდა მოსკოვს სსწავლექებელსა შინა, ამან მიადო უცხოდ სწვა და სწვა ენათა სწავლანი და სოფელისოფლისა ხელაუნებ, ასწავა მათემთათა და სთარემნა ქართულად დღომეტრად და სწეობთაცა შექქიას თარემანებსა ზედ წაგნთასა ქართველთა.

**დიმიტრი ბაგრატიონისათვის.**

დიმიტრი ბაგრატიონი, შვილის შვილი იესე მეფისა მხეველსაგან, ესე ორგულბობისთვის გამოძებული მოვიდა მოსკოვს, ასწავა რუ-

სული, არს კარგი მთარგმნელი, რომელმანც ჰსთარგმნა რაოდენიმე წიგნი, და არს კარგი შესტიხე, რომელმანც აღწერა შიარად წმინდის დედოფლის ქეთევანის ცხოვრება.

121.

### ახდრონიკესშვილი ზაატასთვის.

ახდრონიკესშვილი ზაატა, ესე მცირე ემა აღაზრდევინა ბიძამან მისმან უოულად სამღვდელთა ალავერდელმან მოსკოვს შინა, მიიღო სწავლა რუსულისა ენისა და ქართულისა, ისწავა მათემათიკა, მხაზველობა, არტელარია და ფორთუფიკაცია, შერე მოვიდა ქართლსა, მიიღო შეუემან ირაკლიმ ზატივითა და უბოძა თოფნიბაშობა. ამან განაწყო კეთილად თოფხანსა და ჩამოასხა სხუა და სხუა გუარი ზარბაზნები, განასწავლნა თოფხნი ვიდრე ორასამდის და სხუათაცა ასწავა ხელოვნება თვისი, და ესრეთ მსახურებითა მამულისთა განვლნო წელიწადნი თვისნი.

122.

### გაბრიელ სომეხისათვის.

შემდგომად ამისა დაადგინა გაბრიელ სომეხი, ამანც კარკად იტოდა არტელარია და ესე ძმითურთ თვისით შეუვისა ირაკლისა წინაშე დაინოცნენ აღა-მამათ-ხანის ბრძოლასა შინა; და შერე განწესდა მოსამსახურედ არტელარიისა გეურქადა, ნასწავლი მოსკოვს, და ამანცა კარკა უწყოდა, ვირთაცა არტელარია, კერეთვე ექიმობაცა.

123.

### ათანასე თარხნისშვილისა კავთის მონასტრის წინამძღვრისათვის.

ესე აათანასე თარხნისშვილი, თუმცა არა იყო დაა სწავლული, კარნა სიმხნითა იყო სრული. ამან დიდად იღუაწა ქუბთახევის მონასტრისათვის ღანგ-თემურის მიერ შემუსვრილის, აღაშენა ნახარბი

სოიუკლი კავთას-კევი, ბრძოდა ძლიურად ლეკის ჯარით, რომელმანც მრავალჯერ გაიმარჯვა მათ ზედა, და სხვანაც ერთი მცხოვრებნი გადმა მხარს შინა განამხნო და განამტკიცნა, აქუნდა ზატავი შეფის ირაკლისა და შეფის გიორგისაგან, და დღე და ღამე იყო მზრუნველ ერთათვის თვისათა, და ესრეთ კეთილად განკუთვნილ ცხოვრება იყინა.

124.

### დასითუოს ფიცხელაურისათვის კავთას-ხევის მონასტრისა.

შემდგომად ათანასისა დაადგინა დასითუოს ფიცხელაური არქიმანდრიტად ქუბთას-ხევის მონასტრისა. ესე არს წერილთა შინა გამოცდილი და უბნობათა შინა რიტორია; ამხანც ილუაწა მჭსტავსად ზირველისა, და განახლად კელახლად მონასტერი და დაადგინა ბურება, ამხანც აღუშენა კარგი წისქვილი გორის შინა, და განუმრავლა შემოსავალი მონასტერს და შერე თანა მოეკა აქა ანტონი კათალიკოზისა, და თქვენ შიერ შიადო არხიერობაჲ კავკასიის მთისა, და წასრულმან ქართლად მონათლნა რათდენიმე ათანა სულნი ოსთავან, და განაწესნა მღვდელნი და კეთილად მწესნიდა ეპიკლესიათა დთისათა. გარნა შურათა ქსნის ერისთავთაგან და მუნებურის მთავარ-მართებელის ტიშუვისგან (sic), კაცის მოქრთამისა და განუძღვრელისაგან, სიტრუთი შესმენილ იქმნა, და ბრძანებათა თქვენითა მოწოდებულნი მცხოვრებს აწ მოსკოვსა შინა.

რომელთამე ქართველთა და იმერეთისა ღირსთა კაცთათვის.

125.

### მამისა ანტონი ჭეოინდელისა დადიანის მასათვის.

ანტონი ჭეოინდელი დადიანის ძე, ესე იყო მწიწავლას შინა სთვალსითუოსოს და სილთის-მეტეველას შინა გამოცდილი, ზირველი მოქადაგი, რომელმან აღსწერა მრთლად ეთველთა დღისა წლისა

ქადაგება მღვთავსად მანიათაის (sic) მშვენიერ. ამან ღრთის ზღაის მე-  
ფის სოლომონისს დაუყო ზარი ბასის ზედა ლათინთა ზატრისა,  
კაცსა შეტნიერსა, და არწმუნს სულისა წმინდისა მხოლოდ მამისაგან  
ცამოსულსა, და ამან კეთილად დაშწქსთ ეკკლესია თუთისი, და შერე და-  
უტყვას თანამდებობა თვისი, და მისცა ადგილი იგი ძმის წულს  
თვისის ბესარიონ ჭეიანდელსა.

126.

### ღირსისა ძამისა სერაზიონ ნათლის-მცემელის ძონას- ტრის წინამძღვრისათვის.

ესე ღირსი ძამა სერაზიონი იყო იმერეთით და ესე დადგინე-  
ბულ იქმნა შეთვის ირავლისაგან წინამძღვრად ნათლის-მცემელის ძო-  
ნასტრისა, რომელმანც იღუაწა კეთილად. ხოლო სიმშვიდითა და მარ-  
ხვა-მოთმინებითა მღვთავსებდა ძველთა წმინდათა მამათა, ამან მიაწია  
საზომისა სასწავლოთ მთქმედებისსა, რომელ ჟამსა ამისსა იყო დიდი ლე-  
კიანობა, და უდაბნოსა სსჭირთებისთვის წარგადა სიბუგელსა შინა მთ-  
სარეწველად ორისა თვისითა დააკუნებითა, და მიამავლას გზასა ზედა  
დახუდენ ლეკნი ვადრე ას ოთხმეტამდინ კაცნი, და შეიბურეს ერთი  
დააკვანი მისი. მამანი სერაზიონ ცამოისსა ჟვარი და შეუტია ეპი-  
რჯუნისა ხელში მხურთბელმან, და ოდეს ვას გარდაუქნეუდას; აულტო-  
დენ ზარისაგან მისისა, და ესრეთ განარინს დააკვანი იგი და თუთცა  
მშვიდობით განუდა; ვურდა მიმსლოებულნი ლეკნი მისდაძი; ხოლო  
შემდგომად ლეკთა მისგან მოაწია ამსაჟა, რომელ ბერა იგი ოდეს ეპარ-  
ჯუნისა მას გარდმოკუაქნეუდას, მუნათგან ცამახდებოდის ცუცხელი შემწვე-  
ლი, რომლისა ცამო ეოველნივე გაქმნენით განტოლვად. უკანასკნელ იღუა-  
წა ფრად და ჟამსა მსცოვანებისსა უფლისად განასვენს, და თხოვის-  
მებ მისისა დაიუღეს ეკკლესიისა კარისა შესავალსა ცარეთ ადგილისა,  
რათა შემავალნი დასთორტნუადენ იფურხით, და ესრეთ დაასრულა დღე-  
ნი თვისნი, და სხვანიცა სასწავლნი ქმნა, რომელიცა არს აღსწერილ  
ცხოვრებასა მისსა.

### მამის გერმანე დაუუდებულისათვის.

ესე გერმანე დაუუდებულა იყო იმერეთით. ამან დაუტევა მშობელნი თუასნი და იქმნა მონოზონი, და მარტოებით ჰსცხოვრებდა წელ რაოდენმე მარხვითა და ლოცვითა, რომელ ეოველთვის შეინახნამდის შვიდეუელს, ამას მრავალ გზას ბრძეკს სულთა არა წმინდათა სხვა და სხვა სხედ, კარნა ვერ უძლეს შერეევა მასი. ესეცა მაიწია სსწაულთ-მოქმედებსა მადლსა შინს და ჰყო რაოდენნამე სსწაულნი, და უკანასკნელ ჟამის მსტოვანებოასსა იმარხვა ორმოცი დღე, და ეხიარა წმინდას საიდუმლოს, და ესრეთ სულა თუასი შევედრა სულთა შინს ღთასითა.

### მამის სვამიან გარესჯას წინამძღვრისათვის.

სვამიან წინამძღვარი დავით გარესჯას მონასტერისა, ესე იყო სომხთაიელი ინაურაძე. ამან მრავალი ღვაწლი აჩვენა მონასტრისათვის თვისისა, იყო ფრად ღირსი და წმინდათა შორის შესრაცხი, ამან ჰსცნა სულთა, რომელ მსკდრობა შეთვის თეიმურაზისა და არაკლისა იძლეოდენ ჰარულთაგან, და აუწვა შეფეთა, რათა არა წარვიდენ მათხედ, კარნა არა უსმინეს, და იძლივნეს მათგან. უკანასკნელ სცხთვრებდა მონასტერის შინს, რომელსა ღთას-მშობელისა ხსტიცა გამოელაზარა; ხოლო ერთსა დღესა ხარებობისას არა აქუნდათ თეუზი მონასტერის მას შინს მცხოვრებთა, და სწუხდენ ამისთვის, ხოლო მამს ესე სუგეშინის ცემდა, შემდგომად წირვისა, ენებათ, რათა ესერათ სდალს ზედა, ხოლო მამამან ამან ჰრქვა: მცირედ მცალეთ შვილნი, რათა შევადე სენას ჩემსა; მაშინ ევედრა დმერთსა მამს ესე და გამოვიდა გარე, რომელსა ელოდნენ კრებულნი. ჟამს ამას მოიფრინდა ზირისზირა მათსა ორბო ერთთა, რომელსა ეპერა ფერხითა ორავული დიდი, და შთამთავლო სსწავლ მონასტრისა, რომელ ჯეროცა ცოცხალი იყო ორავული აგი, მაშინ რქვა მამამან აჰა



შვილთა, მოკავლისა თქუქს ღმერმან ნუგეში, აღიდეკო და შეკებოქო მძმ და მერე ვისეროთა, რომელ უოველნი მადლოებლნი ღთისა კრებულნი აღი-  
 ვსნეს სიხარულითა, და ისერეს მადლობისა შემწარველთა ღთისადმი.

129.

### ქარუმისძე ონოფრესათვის.

ქარუმისძე ონოფრე იყო ერის კაცობას შინა სმხედრო ს-  
 ქმისა მოყვარული და ამის მონასტერსა შინა იხეობ წარსულად მოს-  
 ლოცველად, ოდეს იხილა წმინდანი ესე ადგილნი, მამის წარმოსრულ-  
 მან მისცა განტება სხლეულებითა თვისთა და თვით იღუმელ მოვიდა  
 კარესკის მონასტერსა შინა და იქმნა მონაზონი, და მერე რაოდენი-  
 სძე ხანისა შემდგომად მოვიდა მღვიმეს შინა დაფით ტარესველის-  
 სს, სდაცა ასივლავია წმინდა იგი, და მუნ დაუუდებოთ ჭსტხოვრებდა  
 შვიდეულისა და ორმეოცის დღისა მარხულებითა, და ესეცა მიაწია  
 მადლსა სასწაულთ მოქმედებისსა, და ესრეთ სიწმინდით დაასრულა  
 ტხოვრება თვისა.

130.

### იასებ მოხვეკესათვის.

იასებ მოხვეკე მღვდელი, ესე იყო ფრად სიწმინდის მოყვარე  
 და შემარხული, რომელ უოველგან განითქვა სთინობა ამისა. ესე ნე-  
 ბითა ღთისა ადვიდა შეინჯარის მთასა შინა, კაცთაგან შეუვალსა, და  
 იხილა მუნ კარავი და აკვანი აბრამისა მამათ-მთაურისა, რომელ ჭე-  
 რეთ არავინ აღსრულ არს მთასა მას, და მთართო მეთესს ორავლის  
 ნაჭერი კარავის მის, და ესეცა მიაწია სსწომის სასწაულთ მოქმედე-  
 ბისსა და ესრეთ უფლისად დაიბინა.

131.

### იასებ კათოლიკოზისათვის.

იასებ კათოლიკოზი (ხერხულიძე), ჟანდიერის შვილი. ესე იყო  
 ზარველად ანტონი კათოლიკოზისა, სმდროთითა წერდითა შინა გა-

მოცდილია, ხოლო მონოზონებით სრული და დიდა სიწმინდის მო-  
ეყარე. ამან კეთილად დაძწესო ეპიკუსია თვისი და მერმე დაუტოვა  
საყდარი თვისი და ამის ადგილს დაუდა ახტონი ზირველი კათოლი-  
კონი. ესე ითსებ წარვიდა კახეთს ახმეტას შინა და სცხოვრებდა  
მუნ კარტაშხელის საშეოფის ადგილს შინა, და იყო დადს ღჭაწლას  
და ლონკვას შინა, რომელიცა მაწია სსწაულისა მადლს შინა, და  
მრავალნი სნეულნი განკურნა და ბრძანც აღუხაღნა თუღლნი, და  
ესრეთ სიწმინდით მონუტეპულმან სული თვისი შეკედრა ღმერთის.

132.

**სხუანი ეპიკუსიას მსახურნი მკალბეღ-მწიგნობარნი, ქარ-  
ოლსა და იმერეთსა შინა.**

ზირველი მკალბეღელი ჭაღაქანიძე გიორგი, რომელი იყო გურიელი,  
და რომელმანც იცოდა სრული ათას ერთი, ამან აღზარდა მრავალნი მკა-  
ლბეღნი და შუღნი თვისნი. ამანვე აღზარდა მეოთხე რაჭის ერისთავის  
შვილი მდივანბეგი ქართლისა, მწზგავსად მკალბეღობას შინა თვისსა-  
კორ სრული; იყო ჩინიული მკალბეღელი: ესეღა კანდეღაკის შული,  
გნატე და ღაშუა, ოქროზირი და სხუანი ზირველნი მკალბეღნი  
და კეთილად შემწეობინი ხმათანი. ხოლო ქართლსა შინა კირილვე  
მთავარ-ეზისკობისი, ციციშვილი იოთამ, მკალბეღელი დამიტრი, გარ-  
სეგანასშული კოკია და სოლომონ, მეღვინეთხუტისშვილი ზაატა.  
ესენი საკუთრად მეფისა ირაკლისა იეგენ მკალბეღ-მწიგნობარნი,  
და ასწაულესცა მრავალთა, და სხუანიცა მრავალნი, რომელნიცა ემაწ-  
ვალნი კატნი არიან.

133.

**ახალნი მიტროზოღიტ-ეზისკობისნი ქართველთა და იმერთანი.**

ბოდმელი (sic) მავაშვილი იოანე აღიზარდა ხათლის ცემლის მო-  
ხასტერსა შინა და მერე მეფისა ირაკლისაჯან დაიდგინა ბოდმელად,  
ესე გამოცდილია სამდროთო წერილთა შინა, მან იღუაწა კეთილად ეპიკე-

სიასს თვისს ზედა და აღუშენს კარგნი შენობანი, დაუშუშანს ვენახნი და კეთილად მწესიდა სამწესოს თვისს.

მზგავსდა ამისვე გელათელა ეგვთვამე გურიას ერასთვას ძე, სიურმათვან ვიდრე სიბურეღმდე სიწმინდას მოეყარე, სმთა მუგეთა მსახურებელი, ესე იგი მუთვის სოლომონის, ეკლესიასთა თვისთა გეთილად შეამკობელი, და მარხულობას შინაცა ქებელი; ამის რამლისა მიხეზით მიეტა სინდურაჲ მუგეს თვისთათან და მურეთ აწუო მსახურება უმადესის კარინდამა თქუწნის; გარნა შურათა ესეტა მოკლეულ აქმნა სუდრისეცან თქუწნის და მოეყანებულ აქა.

**ქუთათელაცა დოსათელა** წერეთელი, კაცი ზსტიოსანი და სიუ მართ (სი) მოეყარე და განმსუენებელი, ესეტა დასჯალ აქმნა და განტვირულ უკრძალველობითა წამოეყანის დროს მხედართა მართებულთაგან.

მთარეუბისკობისა **ჟიჟანაძე**, კაცი დ'ით-შემოსილი, და სიწმინდითა სრული, რომელიც ეთველთვის ჰზრდას გლახკეთა ხონისა ქალაქის შინა სრუა და სხვა სენთაგან შეზერობილთა ვიდრე ასის სულისა უმეტეს.

ხოლო სხვანიცა არიან მრავალ დარსა ქების, და ეტრეთუნ **ხაქარაი იმერელი**; არხიმანდრიტი გელათის, რომელიც აღზარდა ჰსწავლას შინა ევთამე წინამძღვარმან ნათლის მტემლის მონასტრისმან, ამან იღვაწა კეთილად და გააკეთა სტანაჲ სურგრა, შეწევნითა ზურან წერეთელის საღსოუხურესისთა და მრავალნი წიგნი დაუბეჭდა იმერთა, რომელი ჯერეთ არა ქნოდათ სტანაჲ იმერთა, და ესეტა **წარმოეყანებულ** აქმნა მტარის მიხეზისათვის რუსეთად.

134.

### ახალნი მთარგმნელნი ქართველნი.

მუთვის ძე დავით, მირიან, ავალისშვილი, აღექმნდრე ჰავტავაძე, გოდერძი ივანდოვი, იახე ბაზლიძე, ჩუგუნისშვილი გიორგი, ნიკოლაოზ ჩუგუნისშვილი და ესე მღვდელი, ძმა ამისა, და მახელ ივანდავანდოვი. ხოლო ასტრახანს სემანარაის შინა აღზრდილნი: აღექმნდრე მღვდელი და დეკანოზი ეიზნარაის ზეტრიაშვილი ვახელი; ამისივე ბაძაშვილი მღვდელი აღექმნა და სტეფანე, ტომთიუს შვილი

გრივად მღვდელთა, ითასე მღვდელთა ჭილაშვილი, სტეფანე ამისა ძის, და ესილი ამისივე ძის, ესენი უცხოდ ზედმაწევნილი სამეცნიეროთა, და რუსულისა და ქართულისა ენასა ზედა მშვენიერ შემთხუზველნი, და ამ ეთგუელთა მთარგმნელთა ზემოხსენებულთა თავად-ახსაურთა მრავალი წიგნები გარდმოიღეს სხვათა ენათაგან ბუნებით ენასა ზედა ჩვენსა, და მრავალნი ამათგანნი არიან აწ მიცვალეიულნი.

## შენიშვნები.

ქართუელთა მთავაწეთა და მწერალთა შესახებ ურცულნი ცნობანი სისტემატიურათ დაწოთბილნი უძველეს დროიდან ჩვენ არ მთავუ-  
 ჰოვებს. ცნობილია მხოლოთ უკანასკნელი ტაქში ვუოზის-ტუაოსნისა, რომელშიაც მოხსენებულნი არიან რამოდენამე რუსთუელის თანამედროვე და წინა დროის სურთა მწერლები. მუხუდმეტე სუეუენში არხილ მევექ დაინახა სპირთად გადმოეცა ჩვენთავის სინტერესთ ცნობები შესახებ ცამეტთა „ძველთა და ახლთა საქართუელის მულექსეთა“, რომელნიც დატულნი არიან არხილიანში. მეთურამეტე სუეუენში ანტონ კათოლიკოსმა შგერითა ცნობები ქართუელთა ძველთა სპექლესით და სურთა მთავაწეთა და მწერალთა შესახებ, დაწვეთ ასე თუ ისე სისტემატიურათ, გალექს და შექმნა თავის დირს შესანიშნავი წიგნი „წოთბილ სიტუვათობთ“ წოდებული. უკანასკნელ ამგვარ შრომით უნდა ჩათვალდოს ეს ჩვენ მიერ ახლად გამოქვეყნებული „მცირე უწვეთა ქართუელთა მწერალთათვის“. ავტორს სტატისის უსარგებლთა უველთ ჩვენმდის მთავუელის ზემოაღნიშნული ცნობითა. არხილ მევიან ცნობები ჩვენს ავტორს მოქცეული აქვს მე-70 ზარაგრაფში (გვ. 29). სოლო ვუე-  
 ხის-ტუაოსნის უკანასკნელი ტაქშის ცნობა მე-60—63 ზარაგრაფებში (გვ. 25—26). უველთავე მეტად ავტორთა სარგებლთა ანტონ კათოლიკოსის წოთბილ-სიტუვათობთ და ამავ რეით აღნუსხავს მთავაწეთა და მწერალთა სიას, როგორც ანტონ კათოლიკოსის აქვს მოყვანილი (შვადრე ზარაგრაფებთ ჩვენი გამთცემისა 2—54; 60—69 და ტექ-  
 ჰები წოთბილ სიტუვათობის 645—793; 695—805). ანტონის წიგ-  
 ნი წინ უდევს ჩვენს ავტორს თავის სტატისის დაწერის დროს და-

ხელმძღვანელობს მით. ზოგჯერ სხთაურებიც ზარაზრათების ასე აწეებს ჩვენს დედნში, როგორც მოუყვანილთა წყობილ სიტყუაობაში, მაგალითათ: „თვის მამის იახნე ზეტრეე უოფილისა“, „თვის მამის იახნე ფილასოფისისა“ და სხვა. ასეთი ფორმები ჩვენ არ დაგვიცავს ზემოთ, ვინაიდან დედანშიაც უოფელთის არ იხმარებს. ამ გვანათ ზირველი ხაწილი ხსენებული სტატიის უმეტეს შემთხვევაში დამყარებულია ცნობილ წყაროებზე, მაგრამ აქაც ბევრი ასეთი ცნობების მიმატებული, რომელთაც ზემო აღნიშნულ წყაროებში ვერ ვხედავთ. ასეთთა მაგალითათ სინტერესო ლეგენდა დავით აღმაშენებლის რქისას ცხენზე (ახ. გვ. 3), ლეგენდა იახნე ფილასოფისის ჭიშკაშელის შესახებ (გვ. 14), ცნობები ქრისტეაღუღო ოსიდ წოდებულის შესახებ (გვ. 16) და მრავალნი სხვანი. რასაკვირელოა, სტატიაში თვალსაჩინო შეტომებიც მოიხვეჭება და მრავალი სუგუო ცნობებიც, მაგალითათ, ძველთა მწერალთა შორის ავტორი უხუცესის დილარგეთს, რომელსაც მიაწერს დილარაინის შეთხზვას (გვ. 25); მხოლოდ ვუტინის ტუასინის უკანასკნელი ტაქტის მიხედვით დილარგეთი მწერალი კი არ უნდა იყოს, არამედ გმირი ზოგმა დილარაინისა. მისილები არ არის აგრეთვე ახსნა, ვითომც სიტყუა „ზეტროწი“, წოდების იახნე ფილასოფისისა, წარმოსდგომადეს ბერძნული სიტყვიდან „ზეტრა“-ქვა (გვ. 14). კვ შეტი სხველი წარმომდგარაა მინასტრის სხველიდან ბოლგარიაში, სადაც იახნე მოღვაწეობდა. არ ვიცით აგრეთვე, რამდენით მართლდაა ცნობა, ვითომც აკობი შემთქმელებს ლეილ მიჯნურანნი გაუღებქისონ (გვ. 29). ამგვარი სუგუო ცნობების მაგალითები სკმაოდ მოიხვეჭება.

თუ ზირველ ხსენებრი სტატიის ასე თუ ასე დამყარებულია ცნობილ წყაროებზე, მეორე ხსენებრი (გვ. 29—33) მთლათ ავტორს ეკუთვნის და მან მიერ შეკრებილს, ხსენებს და გაკანაღს ცნობებზე დამყარებულია. ამ მეორე ხსენებას შორამისა დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მრავალ ახალ ცნობებს გვამღვს ქართული ერის მოღვაწეებზე განურჩევლად ტომისა და სარწმუნოებისა. მეტადრე სუგურადლებთა ცნობები ასტონ კათოლიკისის მოწაფეებზე, რომელნიც მისწავლებლათ მოჭეფნიან მოუღ სუქართულებს: ვინ დვითის მეტყულებთის მისწავლებული უოფილა, ვინ ფილასოფისის, ვინ კალთისის, ვინ ქა-

დაგებისა და სხვა. რასაკვირველია, აქედან ლეგენდარული ხასიათისა შეტანილი ზოგიერთ ცნობებში, მაგრამ ეს ლეგენდები ავტორს არ შეუთხზავს, არამედ ხალხისაგან აქვს გაკონილი, და ეს ლეგენდები ხშირათ კარგათ ახასიათებენ მოცაკაწრებს და ხალხის შეხედულებას და აზრს მათზე. სამწუხაროთ სტატიაში არ იხსენიება არც ავტორი, არც დრო ან სანტერესო შრომის დაწერისა. ამიტომ სხვა არა დაგვრჩენია რა, უნდა ვვინაობთ სტატიის მინაწილის მიხედვით დაახლოებით მაინც გამოგარკვეოთ დრო დაწერისა და ვინაობა ავტორისა. დაწერის დროს გამოსარკვევათ საკმაოდ აღწერილობით, რომ სტატიის მიხედვით ცნობილი არის ანტონ II კათოლიკოსი, რომელიც, როგორც ვიცით, გადაიწვალა ნიჟნი-ნოვგოროდში 1827 წელს. ამ საბუთით სტატია დაწერილი უნდა იყოს 1827 წლამდის. მეორეს მხრით სტატიიდან სჩანს, რომ დოსითეოს ქუთათელი წერეთელი დასჯილია რუსის მთავრობის მიერ, ესე იგი გაგზავნილი რუსეთს და კარდაცვლილი გზაში (გვ. 54), ხოლო ეს მოხდა 1820 წელს 8 მარტს, დოსითეოსი დამარხეს ანანურში. ამის მიხედვით სტატია არ შეიძლება იღა დაწერილიყო 1820 წლამდის ამ გზარით სტატიის დაწერა უნდა მომხდარიყოს 1820—1827 წლებს შუა. ეს დრო კიდევ შეიძლება შემოკლდეს, რადგანაც სტატიიდან სჩანს, რომ ხინის ეპისკოპოსი ანტონი ჭიჭავაძე ჯერ კიდევ ცოცხალია (გვ. 54), ხოლო ანტონი გადაიწვალა 1822 წელს. ვარლამ ქსნის ერისთავი, ბირჟულ ქსარხოსათ ნამყოფი, როგორც სჩანს, ცხოვრობს ჰეტერბურგში (გვ. 32), ხოლო ჩვენ ვიცით, რომ ვარლამი 1825 წლამდის ცხოვრობდა ჰეტერბურგში და იყო სინოდის წევრად, ხოლო შემდეგ გადავიდა მოსკოვში დანილოვის მონასტერში, ამის მიხედვით შრომის დაწერა შეგვიძლია დავსდვათ 1822—1825 წლებს შუა.

